„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი • №15-16 (9533-9534) • 1-31 აგვისტო • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა ბინათმშენებლობების ამხანაგობების თავმჯდომარეებთან

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრი, დავით ფაცაცია, პირველ მოადგილესთან, გურამ მისაბიშვილთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ

მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან, კოტე ბასარიასთან ერთად, სენაკის, ხობის, აბაშის, ჩხოროწყუს, მარტვილის მუნიციპალიტეტების დევნილთა კომპაქტური დასახლებების ბინათმშენებლობების ამხანაგობების თავმჯდომარეებს შეხვდა.

შეხვედრაზე დავით ფაცაციამ ისაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროგრამებზე, პროექტებზე, მათ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

მთავრობის წარმომადგენლებმა მოისმინეს დევნილთა საჭიროებები და მათი მოგვარების გზები ადგილზევე დასახეს.

დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავების მიზნით, მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

დევნილი მოზარდებისთვის საზაფხულო სკოლა დასრულდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განათლების ცენტრის ორგანიზებით, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერით, სენაკში, მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში, აფხაზეთიდან დევნილი, 15-დან 17 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის, ორკვირიანი საზაფხულო სკოლა დასრულდა და პროექტის ყველა მონაწილეს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

საზაფხულო სკოლის დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი იოანე კუპრეიშვილი, ღირსი ალექსი სენაკელის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური მალხაზ ჭანტურია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი, დავით ფაცაცია, მინისტრის პირველი მოადგილე, გურამ მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოს დირექტორი, სალომე დოლიძე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აფხაზეთის მე-10 საჯარო, სენაკის მუნიციპალიტეტის აფხაზეთის მე-7 საჯარო სკოლებისა და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შემეცნებითი, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული აქტივობები.

პროექტის მიზანია - დევნილი ახალგაზრდების ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობა, მათში მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების გაღვივება, მოზარდთა თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზება, მოსწავლეებში STEM-ის მიმართულებით ინტერესის აღძვრა, ქვეყნის ისტორიის და ეთნოგრაფიის, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდებისათვის ჯანსაღი და მეგობრული გარემოს შექმნა.

დევნილთა დასახლებაში

სენაკის მუნიციპალიტეტში აქტიურად გრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესი.

ე.წ. სამხედრო ქალაქში, დასრულებულია ახალი საგზაო ინფრასტრუქტურისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

ამავე ტერიტორიაზე, დევნილთა დასახლებაში, მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესის მიმდინარეობას საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი, ირაკლი ხახუბია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია, რწმუნებულის პირველი მოადგილე, ნინო ვიბლიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი, დავით ფაცაცია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მინისტრის პირველი მოადგილე, გურამ მისაბიშვილი, საკრებულოს წევრები - საბა ოდიშარია, გიგა წურწუმია და თვითმმართველობის წარმომადგენლები გაეცნენ.

დევნილთა დასახლებაში არსებული შიდა გზები ამორტიზებული იყო და მოსახლეობას გადაადგილების დროს პრობლემას უქმნიდა.

პროექტი, რომლის ფარგლებში მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე სისტემა, კეთილმოეწყო მრავალბინიანი კორპუსების ეზოები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარე კვირას დასრულდება.

პატივი მიაგეს

შინდისის გმირების დღეს, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ, პირველმა მოადგილემ, ნინო ვიბლიანმა, მოადგილემ, დავით კუხალეიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, დეკანოზმა იოსებ ესაკიამ, საქართველოს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა პირებმა და ადგილობრივი თვითმმართველოს წარმომადგენლებმა, პატივი მიაგეს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაცემული 17 ქართველი მეომრის ხსოვნას და გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

შინდისის ბრძოლას გადარჩენილმა დეკანოზმა იოსებმა აგვისტოს ტრაგედიის სისხლიანი დღეები და შინდისელი გმირების თავგანწირული ბრძოლა გაიხსენა.

2008 წლის 11 აგვისტოს, სოფელ შინდისში, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულსა და რუსეთის 58-ე არმიის მოტომსროლელ ასეულს შორის უთანასასწორო ბროლას 17 ქართველი მეომრის - ალექსანდრე ონიანის, ემზარ წილოსანის, ვეფხვია ჯიშკარიანის, ზვიად კაცაძის, თეიმურაზ ბერიძის, ილია გაბუნიას, ილია შეყლაშვილის, ირაკლი ჯანელიძის, კახა კოშაძის, ლევან მელქაძის, მარლენ ბარამიას, მიხეილ დვალიშვილის, ნიკოლოზ ფორჩხიძის, რომან ზოიძის, რუსლან წულაძის, ფელიქს კაკაურიძის და შმაგი კუპატაძის სიცოცხლე შეეწირა.

14 წელი აგვისტოს ომიდან...

,,ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაის უმძიმესი დღეებიდან, რომელმაც დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი და მძიმე შედეგები, 14 წელი გავიდა.

2008 წლის აგვისტოს ომმა ჩვენი მოქალაქეების, მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა, დავკარგეთ ჩვენი გმირი ჯარისკაცები, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზის და ქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ მებრძოლები და სამი მშვიდობიანი მოქალაქეები.

ქედს ვიხრი ქვეყნის მასშტაბით, სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაცემული ჩვენი დროის გმირი ჯარისკაცებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების, განსაკუთრებით კი, ამ უმძიმეს დღეებში დაღუპული ჩვენი თანამოქალაქეების ხსოვნის წინაშე და კიდევ ერთხელ ვუთანაგრძნობ მათ ოჯახებს - განაცხადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

სენაკში, ხსოვნის მემორიალთან, დილიდან შეიკრიბნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები, ომში გმირულად დაღუპული სენაკელი გმირებისა და 8 აგვისტოს ტრაგედიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ოჯახების წევრები და პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრებისა და რუსეთის აგრესიას შეწირული მშვიდობიანი მოქალაქეების ხსოვნას.

წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალის, თემურ ბოკუჩავას საფლავი ყვავილებით შეამკო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და ავღანეთში, ISAF-ის მისიაში, დაღუპულთა ოჯახებს 500-500 ლარი გადასცა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

სენაკის მერმა კაპრალ ლევან თეფანიას ხსოვნას პატივი მიაგო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან და საკრებულოს წევრთან, საბა ოდიშარიასთან ერთად, ყვავილებით შეამკო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული სენაკელი კაპრალის, ლევან თეფანიას საფლავი და მის ხსოვნას პატივი მიაგო.

მუნიციპალიტეტის მერმა, ომში დაღუპული მებრძოლის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა და მათ მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა.

2008 წლის 9 აგვისტოს, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალი, 27 წლის ლევან თეფანია, საომარი მოქმდებების დროს, ცხინვალის მისადგომებთან, სოფელ ხეთაგუროვაში დაიღუპა.

სენაკელი მებრძოლები - ლევან თეფანია და თემურ ბოკუჩავა, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდნენ მედლებით -,,მხედრული მამაცობისთვის".

უფასო სამედიცინო აქცია - კვების ცენტრის ბენეფიციარებისთვის

ამ წუთებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში, ბენეფიციარებისთვის, უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები მიმდინარეობს.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის დირექტორთან, ლევან ტყებუჩავასთან და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის ხელმძღვანელთან, რომან ავალიანთან ერთად გაეცნო.

აქციაში მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროფილის ექიმები: რადიოლოგი - მარინა ინაკავაძე, ნევროლოგი - ნანა მეკრავიშვილი, თერაპევტი - ასმათ გარსევანიშვილი და ჯგუფის ხელძღვანელი - თამარ სახლთხუციშვილი. ხვალ, პროექტის ფარგლებში, უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას ჩაუტარდება.

სამედიცინო აქცია პერმანენტულ ხასიათს ატარებს და სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს.

გრანდიოზული შოუთი აღინიშნა

,,გილოცავთ დიდგორობას - ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ცოტნე დადიანის ხსენების დღეს.

სიმბოლურია, რომ ამ თარიღებს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ემთხვევა.

ახალგაზრდობაა ჩვენი იმედი და მომავალი. სადიდგორე თაობა, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული შთამომავალი უნდა გახდეს" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შოუ კონცერტზე.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, გიორგი გაბუნიას და ,,ღამის შოუს" ბენდის გრანდიოზული შოუ კონცერტით აღინიშნა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოსახლეობასთან კონსულტაციები, მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება.

კონსულტაციის დღე მუნიციპალიტეტში

ქალაქის განახლებულ სკვერში, მიწის სისტემური რეგისტრაცია 2024-ის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგნელებთან და მოქალაქეებთან შეხვედრა გამართეს.

საკონსულტაციო შეხვედრაზე, დაინტერესებულ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმაზე მიეწოდათ ინფორმაცია.

მასშტაბური პროექტი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სენაკში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 277-281, 5 კმ-იან მონაკვეთზე, მასშტაბურ სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული მონაკვეთის სრულ რეაბილიტაციას, ხიდბოგირების, საფეხმავლო ბილიკების, ეზოების შესასვლელებისა და გაბიონების მოწყობას. მიმდინარე სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო.

მასშტაბური პროექტის ღირებულება 4950423 ლარს შეადგენს.

მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ხელოვნების საზაფხულო სკოლა

,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი " წარმატებით ახორციელებს პროექტს ,,ხელოვნების საზაფხულო სკოლა". საზაფხულო სკოლა მრავალფეროვანი პროგრამით 4 ივლისიდან სამ ეტაპად ფუნქციონირებს. ხელოვნების ცენტრის არტ პროექტი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მეოთხე წელია ხორციელდება.

პროექტის - ,,ხელოვნების საზაფხულო სკოლა" მიზანია, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, მონაწილეთათვის ხელოვნების სხვადასხვა დარგის გაცნობა, მათი შემოქმედებითობის წახალისება და გარემოსთან კავშირის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი სახალისო, საინტერესო და შემეცნებითი აქტივობები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, დიზაინი, უცხო ენები, მსოფლიო ლიტერატურა, არქიტექტურა, სცენური ხელოვნება,

ხელოვნების საზაფხულო სკოლის მონაწილეებისთვის ყოველი დღე დატვირთული იყო მრავალფეროვანი შემეცნებითი და განმავითარებელი სახელოვნებო-საგანმანათლებლო აქტივობებით, საინტერესო სტუმრებთან შეხვედრებით და გარე სივრცეების დათვალიერებით.

პროექტის ფარგლებში: სკოლის მონაწილეებმა დაათვალიერეს ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლა, გაეცნენ ჟიული შარტავას და ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს. ესტუმრნენ გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციას, სადაც გაეცნენ საგამომცემლო სამიანობას, დაათვალიერეს გაზეთის საარქივო მასალები, რომელშიც ასახულია ჩვენი რაიონის ისტორია.

წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში, მონაწილეთათვის ჩატარდა „მხიარული სტარტები", ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით. სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორმა, ლერი კართხიამ თექაზე ნამუშევრები დაათვალიერებინა. ,,ეკო-არტის" ფარგლებში მონაწილეობდნენ განმავითარებელ აქტივობებში.

საზაფხულო სკოლას სტუმრობდნენ ევრაზიის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ტიხონ ხრენიკოვის პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი იაგო ქებურია-ობრაზცოვი, მუსიკალური სტუდიის ,,R & J" მოსწავლეები, ირაკლი ლაკიას ხელმძღვანელობით....

პირველი ეტაპის დასკვნით ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბაღათურიასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან, ხელოვნების ცენტრის დირექტორთან, ვეფხვია ვეფხვაძესთან, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, დიზაინი, უცხო ენები, მსოფლიო ლიტერატურა, არქიტექტურა, სცენური ხელოვნება, ეკო-არტი - ასეთია ზოგადი ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლის პრეზენტაციაც წარმოადგინეს დასკვნით საღამოზე საზაფხულო სკოლის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა.

,,ხელოვნების საზაფხულო სკოლის" მესამე ეტაპი მიმდინარეობს და 31 აგვისტოს დაასრულდება.

მ. გერგაია

გამოსვლები რეგიონალური ფესტივალის გახსნაზე

მივესალმები ფესტივალის მონაწილეებს, სტუმრებს და ჩვენს მაყურებელს, ვის გარეშეც თეატრი ვერ იარსებებდა!

წლევანდელ წელს დიდი ცვლილებები მოხდა რეგიონულ თეატრებში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევასთან დაკავშირებით. ვულოცავ ყველას და მინდა ვისურვო, რომ მათი ძალისხმევა წარმატებული იქნება არა მარტო თეატრისათვის, არამედ მაყურებლისათვის, ვინც მუდამ ელის სიახლეს. გილოცავთ რეგიონული თეატრების მერვე საერთაშორისო ფესტივალის გახსნას! და დღეს, როცა დენთის სუნი ასე ახლოს ტრიალებს, ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს ამ უმძიმეს დროში, ვუსურვებ ყველას, არასოდეს დაგვეკარგოს სურვილი და შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს მივანიჭოთ სიხარული და ბედნიერება!

,,ღმერთმა კეთილად დააბოლოვოს ჩვენი მგზავრობა".

ნინელი ჭანკვეტაძე - რეგიონალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

სენაკში, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, უკვე მესამედ იმართება.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ჩვენში უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა, სენაკელები გამორჩეული სიხარულით ელოდებიან, რადგან სენაკი კულტურული და განსაკუთრებით –თეატრალური ტრადიციების ქალაქია.

ჩემთვის საამაყოა და საპასუხისმგებლოა, რომ თეატრალური ხელოვნების ეს ჭეშმარიტი დღესასწაული, სტარტს სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტში იღებს.

აკაკი ხორავას სახელობის ახლად რეაბილიტირებული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიული სცენა, მზად არის, უმასპინძლოს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ თეატრალურ დასებს.

ამ ფესტივალზე, ადგილობრივი თეატრალური დასიც, განახლებული რესურსებით და ხედვებით წარმოაჩენს საკუთარ შემოქმედებას.

გიცხადებთ ჩემს მაქსიმალურ მხარდაჭერას, თანადგომასა და წარმატებებს ვუსურვებ ფესტივალის ორგანიზატორებს, თეატრალურ კოლექტივებს,, გულშემატკივრებს, თითოეულ ადამიანს, რომელსაც ფესტივალში ჩართულობით, წვლილი შეაქვს ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს განვითარების საქმეში.

ვახტანგ გადელია,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

თეატრების VIII საერთაშორისო ფესტივალი სენაკიდან დაიწყო

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ თეატრალური ტრადიციების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვს რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს.

რეგიონალური თეატრების VIII საერთაშორისო ფესტივალი 2 აგვისტოს სენაკის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა. ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის და ფოთის მერიების მხარდაჭერით გაიმართა.

ფესტივალი შესავალი სიტყვით გახსნა ფესტივალის დირექტორმა თენგიზ ხუხიამ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ მადლობა გადაუხადა ფესტივალის მონაწილეებს. აღნიშნა, რომ მისთვის როგორც სენაკელისთვის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელისთვის დიდი პატივია ის ფაქტი, რომ ახლადრეაბილიტირებულ პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიული სცენა მასპინძლობს ქვეყნის თეატრალურ დასებს.

დაგეგმილი იყო მესხეთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი, მაგრამ თეატრის რამდენიმე მსახიობის კორონავირუსით დაინფიცირების გამო დასმა ჩამოსვლა ვერ შეძლო. თეატრალიზებული ნომრები და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს ეკა კოღუამ, თამო გუჯაბიძემ, ლიზა წულაიამ, ბათუ დოლბაიამ, მარიკა ბუკიამ, ნინო პაჭკორიამ, სენაკის სამუსიკო სკოლის მოსწავლემ ალექსი ვახანიამ, ვანო იანტბელიძემ და სხვებმა .

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ მსახიობი, ტელეწამყვანი დოდო ხურცილავა, რეგიონალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინელი ჭანკვეტაძე, სენაკის თეატრის დირექტორი ირაკლი ადამია.

წლევანდელ წელს დიდი ცვლილებების შედეგად მოხდა რეგიონალურ თეატრებში ახალი სამხატვრო ხელმძღვანელების არჩევა, მინდა მივულოცო სენაკელებს ბატონი ვახტანგ ნიკოლავას დანიშვნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. ყველას ვულოცავ რეგიონალური თეატრების მერვე საერთაშორისო ფესტივალს და მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერებს თანადგომისათვის-აღნიშნა მან.

ღონისძიებას თბილისის ახალგაზრდული კაპელის მთავარი დირიჟორი შიო აბრახამია უძღვებოდა. ფესტივალის გზავნილი იყო ,,არა ომს". ფესტივალის გახსნას სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ გადელიასთან ერთად საკრებულოს წევრები საბა ოდიშარია, ლევან უჩანეიშვილი, კულტურის სამსახურის, თეატრალური სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

3 აგვისტოს ფესტივალის მეორე დღეს სენაკის სპორტის სასახლეში ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა წარმოადგინა პიესა ,,დედაომი".

,,დედაომი" თანამედროვეობის, ომისა და ოკუპაციის თემას ეხება. სპექტაკლი, რომელშიც მსახიობებმა

- თამარ მდინარაძემ, ციცი ბუცხრიკიძემ, შორენა გვეტაძემ და ნიკა ძნელაძემ მიიღეს მონაწილეობა, 2008 წლის ომის ინსპირაციით შეიქმნა. დათა თავაძის პიესა ავსტრია-საქართველოს მიერ ორგანიზებული კონკურსის ,,საუბარი საზღვრების შესახებ" '' გამარჯვებულია, ითარგმნა გერმანულ ენაზე და პირველი პრემიერა სწორედ გერმანიაში შედგა. გლობალური ომი, ძალადობა, გაუცხოებული ადამიანები - ამ სპექტაკლით ოზურგეთის თეატრის დასმა სოლიდარობა გამოხატა უკრაინელი ხალხის მიმართ.

საღამოს რეგიონალური ფესტივალი აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლით ,,ჰარპაგონი" გაგრძელდა.

სპექტაკლმა მაყურებლის და თეატრალური საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

მსახიობებმა ირაკლი ადამიამ, სოფიო ჩალაშვილმა, ანა ანდღულაძემ, ირაკლი კვერღელიძემ, თამუნა აბშილავამ, თენგიზ თოფურიძემ, ტარიელ ზურაბაშვილმა, ლადო კოკაიამ, ზურიკო ზურაბაშვილმა, ეკა კოღუამ, ელგუჯა ნოდარიძემ, ჯამბულ ჭანტურიამ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით გადმოსცეს თავიანთი გმირების შინაგანი სამყარო, მათი სულიერი ღირებულებები.

თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ ვახტანგ ნიკოლავას დამსახურებით დასმა შეძლო მართლაც ღირსეულად წარმდგარიყო რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე.

(დასასრული მე-4 გვ)

თეატრების VIII საერთაშორისო ფესტივალი სენაკიდან დაიწყო

(დასასრული)

4 აგვისტოს სენაკის სახელმწიფო პროფესიული დრამატულ თეატრის სცენაზე სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა მაყურებელს უჩვენა პიესა ,,სტუმარი" ჯონ ბოინტონ პრისტლის პიესის ,,ინსპექტორის ზარის" მიხედვით.

პიესაში დასმული პრობლემები და გამოწვევები მარადიული და ყველა დროსა და სივრცეში გვხვდება. საზოგადოების დიდიდ ინტერესი ხვდა წილად ფერადი ბეჭდვით შესრულებულ ბუკლეტს ,,რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი", რომელშიც წარმოდგენილიიყო ანოტაცია სპექტაკლებზე, ინფორმაციული მასალა თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებსა და მსახიობებზე,

შემდგომ დღეებში რეგიონალურმა ფესტივალმა ფოთში გადაინაცვლა. 8 აგვისტოს იგი საზეიმოდ დაიხურა. მასში მონაწილეობა ქართულმა და უცხოურმა თეატრალურმა დასებმა მიიღეს.

ფესტივალის ჯილდო ,,ალალე", რომელიც თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანტბელიძემ დააწესა, წილად ხვდა ,,ჰარპაგონის" ერთერთი მთავარი როლის შემსრულებელს ირაკლი კვერღელიძეს.

დასასრულს მინდა მოვიყვანო ქართველი რეჟისორის და პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის სიტყვები: ,,თეატრი ადგილია, სადაც ლაპარაკობენ და ქმნიან მთავარს: რისთვის ვარ, რისთვის ვართ, როგორები ვართ, როგორები უნდა ვიყოთ? თეატრი იმისთვისაა, რომ ადამიანებს საშუალება ჰქონდეთ, გვერდიდან შეხედონ საკუთარ თავს..."

იმედი მაქვს, რომ ფესტივალის დამსწრე საზოგადოებამ მართლაც შეხედა გვერდიდან საკუთარ თავს და დაინახა, რომ ამქვეყნად უმთავრესი მშვიდობა, ერთმანეთის დანდობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარულია.

მედეა გალათურია

პირველი კრებული - „ფოთლების ვალსი"



საქართველოში ყოველი მეორე თუ არა, მეხუთე მაინც შემძლებელია აზრი რითმებად აკინძოს ან პროზაულად ჩამოაყალიბოს გულის ნადები. ესეთი გარჯა არც და ვერც იქნება მაღალმხატვრული ღირებულების, რადგანაც დილეტანტური მცდელობაა და მეტი არაფერი. პოეზია კი როგორც ილია ბრძანებდა" მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა კაცთა ღვთით რჩეულსა. ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისა." სწორედ ასეთი გამორჩეული ნიჭისა და უნარის, საკუთარი ხელწერის შემოქმედი ჩანს ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი **ლაშა თოლორდავა.** მასში მუსიკისა და პოეზიის საწყისების ბმა სულის მრავალფეროვნებას ჩვენთვის უხილავ განზომილებათა სივრცეებში ხედვას განაპირობებს, სადაც მკითხველი ავტორის თვალთახედვის თანაზიარი ხდება. იგი რამდენიმე სპეციალობას ფლობს. უმჯობესია თავიდან გაგაცნოთ მისი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი გზა.

ლაშა თოლორდავა დაიბადა 1985 წლის 24 მაისს, ქალაქ სენაკში. დაამთავრა სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლა. 2006 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი დიპლომატიის ისტორიიის სპეციალობით და ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2009 წელს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გადაწყვეტილებით მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამჟამად სწავლობს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამაზე. იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი და პროფესიული საჯარო მოხელე. პროფესიული მიღწევების პარალელურად, გახლავთ არაერთი მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული, ,,Eესტრადა 98"-ის ლაურეატი, სატელევიზიო პროექტების -,,ნუცას სკოლა 2008"-ის ფინალისტი, ,,ჯეოსტარი 2010"-ს მონაწილე. როგორც გ.ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის მომღერალი, დაჯილდოებულია გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მადლობის სიგელით. 2020 წელს წარმატებით შედგა მისი დებიუტი ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში-,,სიყვარულს უშენებია:. არის საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია ,,გულანის" ნამდვილი წევრი.

სულ ახლახან გამომცემლობა მწიგნობარმა გამოსცა ლაშას პირველი კრებული სახელწოდებით ,,ფოთლების ვალსი". რედაქტორი ზაალ ბოტკოველი. ვულოცავთ ლაშას კრებულის გამოცემას, ვუსურვებთ წარმატებებს პროფესიულ გზაზე და იმ სფეროში დამკვიდრებას, სადაც ხედავს თავის თავს რეალიზებულად.

გთავაზობთ კრებულის რედაქტორის რეცენზიას და ლაშა თოლორდავას ლექსებს.

ლოცვის ზარდახშა

ამ პოეტური კრებულის ავტორი ახალგაზრდა კაცია, სრულიად ახალგაზრდა, რომელსაც განუზრახავს ადამიანთა იმ კასტის წევრი გახდეს, რომელსაც სიგიჟესთან წილნაყარი ხელობის მსახურება მისი არსებობის ერთადერთი გამართლებად მიუჩნევია. მართლაც რა ძალა უნდა შეგიჩნდეს ისეთი, იმ თვალუწვდენელ სილრმეებში ჩაიძირო სტიქიონისა, პოეზია რომ ჰქვია სახელად, მითუმეტეს ქართული პოეზია.

ამ პოეზიაში ხომ ერის სულია დაგუბებული, მისი ენერგია და პოტენციაა დაგუბებული, ის ტკივილი და სიხარულია დაგუბებული, რაც ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შვილობასთან არის წილნაყარი. ქართველი პოეტები კი, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ პოეტებს ვგულისხმობ, ის ღვთივკურთხეული რაინდები არიან, რომლებიც გრაალის მცველთა დარად ლამის უკანასკნელ ბასტიონად ქცეულან ეშმასა და სატანიც მოციქულთა შემოტევების მოსაგერიებლად.

აი, ასეთ შემოქმედთა შორის სულს თავის დამკვიდრება ლაშა თოლორდავას.

ეს უძნელესი საქმეა, თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ...

ყოველივე ეს, ალბათ, არ იცის ლაშამ, შეიძლება იცის კიდეც, მაგრამ სხვანაირად რომ არ შეუძლია, ბორგავს, ბორგავს მისი მოუსვენარი და მაძიებელი სული, სადინარს ეძებს, კალაპოტს, რათა მასში ჯინივით ჩამწყვდეულმა სათქმელმა ამოხეთქოს და ყველას გააგებინოს, რომ პოეზიის კიდევ ერთი სამეფო იბადება, თუნდაც ერთი ციდა, თუნდაც ისეთი, პატარა პრინცს რომ ჰქონდა და უმშვენიერესი ვარდის სურნელით იზიდავდა ყველას.

დიახ, ქართულ სიტყვასთან შეჭიდებულ ამ შემოქმედს პოეზიის გარეშე არ შეუძლია არსებობა, პოეზიაა მისი ნავსაყუდელი და არსებობის გამართლება. როგორც წამახულ მარგილზე ფეხს ვერ იკიდებს პაწია ნიბლია და ფართქალებს, ისე ფართქალებს ლაშა თოლორდავას სული და პოეზიის უსაშველო უფსკრულებთან ლამობს დამკვიდრებას. იცის ბიბლიური სიბრძნე-ამაოება ამაოთა, ისიც იცის, რომ მდუმარების ეტლით მავალი დრო ყოველივეს წალეკავს და მიღმიერ სამყაროში დაუდებს ბინას, მაგრამ მაინც ბეწვის ხიდზე სურს სიარული, მაინც სიზიფესავით შეჭიდებია ვეება ლოდს და მისი წილი საკეთებლის კეთება სურს, შეუძლია პეშვით ატაროს ოცნება, იმ მისტერიის მონაწილეც კი შეიქმნას და ფართოდ გახელილი თვალებით უყუროს, თუ როგორ უბერავენ სულს თეთრი ტყემლები ლექსის ნაღვერდალს, **მე პოეზიის აკრძალულ ნაყოფს დავეწაფე და სულშიც გაწვიმდა...**

წერს ავტორი და როგორ მინდა ამ წვიმას მხოლოდ სიკეთე და მადლი მოეტანოს ყველასათვის, რადგანაც ლაშას კარგად მოეხსენება, რომ თუ მოევლინები ამ ქვეყანას, მხოლოდ იმიტომ უნდა მოევლინო, რომ მოყვასი გიყვარდეს, რომ დილეგში გამწყვდეულ, დასაჭკნობად განწირულ ბედნიერებას შვებად და შემწედ გამოადგე...

უფალს არის მინდობილი და მისი მადლი და მირონი ასულდგმულებს. ახალგაზრდაა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მიტოვებულ საყდრისათვის თავშეფარებულ ღამურასავით შემოსჩვევია მის სულს აჩრდილები გარდასულ დღეთა. რა სიყვარულით ხატავს მშობლიურ სოფელს, რა ძალით იზიდავს ყოველივე ეს უკან, ბავშვობისკენ, თუმცა...

ბედისწერას, ამ სასტიკსა და უნდო წუთისოფელს, ჭინჭარზე დამყნილსა და ამოზრდილს, ბოლომდე აბა ვინ გაუხარებია.

და მაინც სიყვარულის ათინათივითაა გაცისკროვნებული მისი სული, ლექსებში გადმოღვრილი სული.

ისეთ სიყვარულს შევეზიარე,
ცხოვრება რომ ღირს ერთი წამისთვის...

შეყვარებულია და არც ტრიუმფს აგდებს ჩირად და არც დაცემასა თუ წაფორხილებას, ოღონდაც კი იმის დანახვა შეძლოს, თუ როგორ კრთის მისი ნანადაურის თხელ ბაგეზე ღვთაებრივი, ჯოკონდასეული ღიმილი, ის ღიმილი, რომელსაც დიდი მაესტრო 12 წელი ხატავდა; თუ როგორ აციაგდება სატრფოს ლურჯ თვალებში კელაპტრების მქრქალი ლიცლიცი.

შეყვარებულია და მზადაა, მძვინვარე ლომსაც შეებას, ცხრა ხარ-კამეჩის ჭაპანი ზიდოს, ოღონდაც მისი სიყვარულის ადრესატმა ეს ვეება, გრიგალივით მოვარდნილი გრძნობა შუბლზე მტევნებად შემოისალტოს. შეყვარებულია და რარა გასაკვირი უნდა იყოს, თუ სიყვარულს უძღვნის თავის საუკეთესო, ჩემი აზრით, საუკეთესო ლექსს:

ქარი ღმუის, ელვა ღრუბლებს წეწავს,
მიწა იძვრის, თითო კაუჭს წყდება,
ვხედავ, მგლისფრად შეიღება ზეცა,
იქნებ ძრწი და თელავ მწუხრის ზეწარს.
რა ვქნა, თუკი არ დამცალდა მეთქვა,
რომ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად.

ლაშა თოლორდავა სიტყვასთან შეჭიდებული შემოქმედია, ალბათ, ეთანხმება მოსაზრებას, რომ ლექსი უკვდავი სულის ღვთაებრივი გამოვლინებაა, რომ ლექსი ადამიანის სულის ფშვინვაა, დაუოკებელი სწრაფვაა მშვენიერებისაკენ, სიკეთისაკენ, უკვდავებისაკენ. შემიძლია დავიფიცო, რომე ეს ახალგაზრდა კაცი მთელი არსებით სწორედ სათნოების ამ წმიდათაწმიდა იდეალებისაკენ ისწრაფვის. ამის დასტურიცაა თუნდაც ის საოცარი სტრიქონები, რომლებსაც ლექსის არაერთი ოსტატი მოაწერდა ხელს:

ტანდალეული თრთიან ფიჭვები,
ლეგა ღრუბლებში მთვარე კიაფობს,
ისე დასწვდება სტრიქონს იჭვები,
როგორც ფოცხვერი დამფრთხალ ნიამორს.

მხატვრის თვალი აქვს და იმის დანახვა შეუძლია, მთვარის მონათლულ ზღაპრულ, ჯადოსნურ ღამეს როგორ ქსოვდა ზამთარი ცის კაბადონს, შეუძლია ვარსკვლავებით დაწინწკლულ ღამეს მთების მირაჟები გადაახატოს. ნისლში მცურავი მთები წარბშეკრულ პირქუშ რაინდებად წარმოიდგინოს, გრაალის მცველების დარად რომ იცავენ ქრისტესავით ჯვარცმულ ივერთა მიწას. სწორედ ამ გოროზ მთებზე ასეტილი თეთრი ჩოხის კალთა ახურავს და ეს სითეთრე უნაზეს ინფანტას აგონებს, დედამიწაზე სულგანაბული რომ ასვენია. წვიმის თქეშით დასვეღებული ლიანდაგები ძველი გიტარის დაჟანგულ გრიფებს აგონებს. იმ მისტერიის მონაწილეც ხდება, მაისის ღამეს როგორ ეშვება ჩვენს ცოდვით დაცემულ პლანეტაზე ნათლის სვეტი ადამიანთა მოდგმის გამოსაფხიზლებლად. მჯერა, რომ ლაშა თოლორდავას წინ საინტერესო, შემოქმედებითი გზა ელოდება. ამ გზაზე, რა თქმა უნდა, არაერთი დაბრკოლება თუ წინაღობა შეხვდება, მაგრამ მისი ძალა და უზღვავი ენერგია შეაძლებინებს პოეზიის უღრანების დაძლევას და ქართველ პოეტთა კოჰორტაში ადგილის დამკვიდრებას.



გზა დავულოცოთ პოეზიის უკიდეგანო სივრცეებში შეჭრილ შემოქმედს...

ზაალ ბოტკოველი

თუშეთს

გარიჟრაჟზე, სისხამ დილას,
აველ თუშეთს, მოსვწყდი წყვდიადს,
მოწანწკარე წყაროს შეეხვდი,
ელამუნა ცხელ ხვაშიადს.
სიო კლდის ქიმს მოეხვია,
ყური უგდო ხეთა შრიალს,
გადუვარცხნა ტყეს ქოჩორი,
ძილნასვამს და თვალებწყლიანს.

შურდულივით მოსწყდნენ წამით
არწივები ჭრელ ლელიანს,
ცას ფალანგად შეუტიეს,
პრომეთეს ღვიძლს შესევიან,
შორს კი მოჩანს ჯიხვის როკვა,
ნისლი ხევებს შეჰფენია,
თურმე მართალს მიამბობდა ამ ზღაპარზე ეფემია.

მკერდბუმბერაზ, ვეება მთებს შეჰფარვია
სულიწმინდა
და ჩანჩქერიც, კისრისტეხით,
მოშხუის და მოქუხს რისხვად,
გადავხედე არემარეს, კოპებშეკრულს,
პირქუშს, ზვიადს...
მთას ვიყავ და ქედმაღლობით
შევუშვირე შუბლი ნიავს.

***

თვლემდა სისხლიან დღეების წყება...
ჩამოღვენთოდა მთვარეს ბადურა,
შემოსჩვეოდა ჩემს სულს აჩრდილი,
ვით მიტოვებულ საყდარს ღამურა.
მიზოზინობდა თებერვლის ღამე
და ზამთრის თოში სახეში მკბენდა.
ძველი თბილისის უკაცურ გზაზე
სადღაც ტოროლა გაბმულად სტვენდა...
მიმაცილებდა ფოთლების ნეშო
და აივნების მკრთალი რიკული,
წამოჩოქილი კედლების ჩერო
მებჯინებოდა მკერდზე წუხილით.
არ მასვენებდა შენგან სიმორე
და საიდუმლო ვერგამხელილი,
არ მასვენებდა სიტყვის საბადო,
გულის ქურაში გამოკვერილი!..
იქნებ ამიტომ იმზირებოდი
ნეფერტიტივით მკაცრი პროფილით,
რომ აღარ გსურდა ჩემთვის მოერგოთ
ხელაღებული მგოსნის პორფირი.
თვლემდა სისხლიან დღეების წყება...
ჩამოღვენთოდა მთვარეს ბადურა,
შემოსჩვეოდა ჩემს სულს აჩრდილი,
ვით მიტოვებულ საყდარს ღამურა.

***

უნახავს ვისმეს, მოსარკულ ცაზე მზეს
მიეფეროს რუხი ღრუბლები,
კალთამადლიან სოფლის ბოგირზე
მიჯაყჯაყებდეს ზანტად ურემი?
უნახავს ვისმეს, სავსე მთვარობას ხევში
სკდებოდეს ვარსკვლავთ ჭურვები,
ფრიალო კლდიდან მორაკრაკებდეს
თმაშევერცხლილი ნაკადულები?

უნახავს ვისმეს უსიერ ტევრში
აცურებული ნისლის ფთილები,
თოვლით დაბანგულ მეგრულ ოდიდან
ამოშვერილი საკვამურები?
უნახავს ვისმეს ტეხურის ნაპირს გარს
მოჯარული ბედაურები,
შხეფის ბექობზე ცადალანძული,
მეციხოვნეთა ცხრაკლიტულები?

უნახავს ვისმეს „დედამოკაზე" თხის
ჯიქნებივით სტალაქტიდები,
ორთქლის ოხშივარს მინებებული
თვალმიბნედილი მწდე ქალწულები?
უნახავს ვისმეს ოქროს ყანაში
გულგაღეღილი მოლაღურები,
მიწაჩალეკილ თითისგულებით
აკვესებული სალამურები?
უნახავს ვისმეს?!...

ქარი ღმუის...ელვა ღრუბლებს წეწავს,
მიწა იძვრის, თითქო კაუჭს სწყდება,
ვხედავ, მგლისფრად შეიღება ზეცა,
იქნებ ძრწი და თელავ მწუხრის ზეწარს.
რა ვქნა, თუკი არ დამცალდა მეთქვა,
რომ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად,
არ მესმოდეს, ვერ ვხედავდე,
რომ გჭირდები ღამის მძევლად,
ჩაგიხუტებ... ხვალ სიყვარულს
ჩავუდგებით ჯიბრში მტრებად!

***

ტანდალეული თრთიან ფიჭვები,
ლეგა ღრუბლებში მთვარე კიანთობს,
ისე დასწვდება სტრიქონს იჭვები,
როგორც ფოცხვერი დამფრთხალ ნიამორს.

***

ჩვენ შევუტიეთ აზეულას ქიმს,
როცა მაისის წვიმა გახელდა,
როს შენს მწუთხე და მღვრიე თვალებში
დაციმციმებდა ციცინათელა.

მივუყვებოდით მოსპეტილ ღრანტეს,
იკლაკნებოდა მალიმალ გზები,
ხახადაფჩენილ ნაპრალებიდან
იმზირებოდნენ ტარტაროზები.
და დავბანაკდით ყვავილთა ნოხზე,
მთებს შემოესხათ ჯაჭვის თორანი,
მიირწეოდა ცალფად ღრუბელი,
როგორც ბაგირზე სველი ბორანი.
შორით გრგვინავდა ქოროღლის ციხე,
ჰგავდა მტრის გულში ჩაჭედილ ისარს,
და ატარებდა გალავნის რკალი
ძველი დიდების უტყუარ ტვიფარს.
დაფუტფუტებდა ფუტკარი მინდვრად,
ცაში ირაოს კრავდნენ მერცხლები.
დაკოჟრილ მხრებით ეზიდებოდნენ
გალოპრილ დვირეს ღამისმთევლები.
ორნი ვუსხედით ასვეტილ კოცონს,
ცეცხლს ტკაცატკუცი გაუდიოდა,
ჟრჟოლადავლილი ჩემი თითები
ლადებზე* მკვეთრად გადადიოდა.
სულგანაბული მომჩერებოდი,
მეურჩებოდა ბგერა ფრთამალი,
ვით მატრიკულში ჩასაწერ ნიშანს
გელოდებოდი გულისფანცქალით.
დაგამეხვიე სახეარეულს
და უჩვეულო ვიგრძენი სითბო,
თითქო მსტოვრებმა ამომაცალეს
გულიდან - გრდემლი, მუხლიდან - ლიბო.
გაიწკრიალეს ცისკრის ზარებმა,
მიწას დავშორდი ერთი მტკაველით,
და საიდანღაც უჩინარ ხელმა
სულში ამინთო თაფლის სანთელი...

მელანქოლია

ქრიან ქარები ცეცხლის მოდებით...
სულში მხრჩოლავი ნისლის ბოლია...
შენ ვერ გაიგებ მე რას განვიცდი,
თუკი ეშმასთან არ გიბრძოლია.
თუკი მოსეულ ორბების ქოროს
გული ფეშხუმზე არ უკორტნია,
თუკი ერთხელაც, ტაშის გრიალზე
მუხლებმოკვეთილს არ გითრთოლია.
პატარძლის კაბას ირგებს ალუჩა...
ჩემს წინ ხავერდის ვრცელი მოლია,
მაინც მიზიდავს ჯამბაზის ღიმზე
ვერდატეული მელანქოლია.

მთავარი მახასიათებელი- პროფესიონალიზმი

ნათქვამია „ამხანაგი ციხე მაღალია,ზღუდე დაურღვეველიო", ჩვენც ასეთი მეგობრობის გვწამს, ასეთი ძალისხმევით ვუდგევართ ერთმანეთს გვერდში ჭირშიც და ლხინშიც. ახლაც სასიხარულო ფაქტმა ამაღებინა ხელში კალამი. მეგობრებმა შემაგულიანეს-ერთად გიმუშავიათ, ყველას გვიცნობ, თან ქალბატონი ხარ უკეთესად დაწერო.

მინდა გითხრათ, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებასა თუ პროფესიულ გზაზე მთლიანად იხარჯებიან არა რეკლამისათვის, რომ ერთი ათად წარმოაჩინონ, არამედ თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე ცდილობენ ჩვეულებრივ მოკვდავად ყოფნას, რომელთათვის უპირველესია იყვნენ თავიანთ საქმეში სწორუპოვარნი, გვერდით მდგომთათვის დასაყრდენი, შვილებისათვის მაგალითი, შეეძლოთ ოჯახსა და საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი არგონ. ასეთნი უშურველად აკეთებენ თავიან საქმეს. მათთვის მსაჯული სუფთა სინდისია. სწორედ ასეთი ბუნების ადამიანია სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორი ვახტანგ სართანია. იგი გახლავთ თავმდაბალი, კეთილშობილი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, უწესიერესი პიროვნება. მას არ ჩვევია თავისი თავის წარმოჩენა და მიღწევების სხვისთვის თავის მოხვევა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ გეტყვით, წლების წინ სწავლის გასაგრძელებლად საწარმოო სტაჟი მჭირდებოდა და სენაკის რაიპროკურატურაში მდივნად ვმუშაობდი, სადაც ბევრ ღირსეულ ადამიანთა შორის ბატონი ვახტანგიც იყო. მან სამსახურებრივი იერარქიის თითქმის ყველა საფეხური გაიარა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა: ჯერ ქალაქ ფოთის, შემდეგ ცხაკაიას რაიონულ პროკურატურებში გამომძიებლად. 1987-1995 წ.წ. სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორის მოადგილეა, შემდეგ პროკურორი, 2003-2004 წლებში მარტვილის რაიონული პროკურატურის პროკურორი. 2005 წლიდან ჯერ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მეორე რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ კი სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს დასავლეთ საგამოძიებო სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი. 2013 წლიდან ისევ პროკურატურის სისტემაში ბრუნდება, ჯერ სენაკის რაიონული პროკურატორის პროკურორის მოადგილეა, შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი, ამჟამად სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორია. ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არის იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

მიმდინარე წელს პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიულ დღესთან (30 მაისი) დაკავშირებით საქართველოს გენერალურმა პროკურორმა პროკურატურის წარმატებული თანამშრომლები დააჯილდოვა. მათ შორის ვახტანგ სართანია პროკურატურის საპატიო პროკურორის წოდებითა და შესაბამის სამკერდე ნიშნით, მეგობრები სულით და გულით ვულოცავთ დამსახურებულ ჯილდოს.

როცა ღვაწლი შეუმჩნეველი არ რჩება და გიფასდება საქმე ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ადრესატისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც, რომლებიც წარმატებული ადამიანების მაგალითზე კვალავენ თავიანთ გზას. მინდა გითხრათ, რომ მე არ მახსოვს ბატონი ვახტანგის აწეული ხმა, ან ვინმეს უდიერად, აგდებულად, უყურადღებოდ მოქცეოდა, პირიქით, ყველას მდგომარეობას ითავისებდა, აწუხებდა დაზარალებულთა ბედი, თქვენ წარმოიდგინეთ დამნაშავეზეც ფიქრობდა. კანონის აღსრულების გზაზე მისი უმთავრესი იარაღი იყო პროფესიონალიზმზე დამყარებული სამართლიანობა.

გარდა იმისა, რომ იგი თავისი საქმის უზადო მცოდნეა, არის იშვიათი მეგობარი, მეოჯახე. ჰყავს მეუღლე და 3 ქალიშვილი, ნათლულთა არმია, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა დაუფიქრებლად გეტყვით: კაცური კაცია, პატიოსანი, უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მამის შვილი.

შეამჩნევდით ალბათ, ბატონობით რომ მივმართავ მას. იგი თავის უშუალობით, სისადავით, ღირსებით თავის გარშემო ისეთ ატმოსფეროს ქმნის, რომელიც შინაარსითაა მდიდარი და შენც უსიტყვოდ განგაწყობს, თანასწორად გაგრძნობინებს თავს და თითქოსდა ამ მარტივ სივრცეში სწორედ ზემოაღნიშნული ფორმაა ჩემი შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი.

ასე რომ, მეგობრები ბატონ ვახტანგს ჯანმრთელობას ვუსურვებთ, ახალ წარმატებებს საქმიანობაში, ალალმართალი გულით, სიკეთით, სიმართლით დიდხანს გვყავდეს საიმედოდ.

ეკა ჯინორიძე

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურისამმართველოს ინსპექტირების განყოფილების უფროსი

„იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლი"

ბიოგრაფიის საინტერესო შტრიხები

რადგან გაზეთი მკითხველთა თვალთახედვას უნდა ესატყვისებოდეს, მათ შეხედულებებს, წინადადებებს ხშირად ვაანალიზებთ და ვითვალისწინებთ. ამიტომ რუბრიკით ,,იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლი" ვასრულებთ იმათ სურვილებს, რომელთაც უნდათ მოვუთხროთ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ჩვენს მუნიციპალიტეტში, არიან ისეთი პროფესიების, რომელთა საქმიანობაც აუცილებელია საზოგადოებისათვის, მაგრამ რატომღაც მათზე ყურადღებას ბევრი არ ამახვილებს, ისინი ხომ განუმეორებელნი არიან თავიანთ სფეროში.

და კიდევ: მკითხველთა ამ წინადადებამ სარედაქციო მსჯელობისას ახალი, მეტად საინტერესო საკითხი წამოჭრა. გავიხსენოთ ისეთი ხელობები, რომელი მიმართულებითაც დღეს არავინ მუშაობს, ან აქა იქ არიან მიმდევრები, ამიტომ გვინდა მოვიძიოთ მათზე ცნობები და წარმოვაჩინოთ ისინი, რომ არ იყოს მივიწყებული და გვახსოვდეს ასეთები. ასე მაგალითად: თიხის, ხის ოსტატები, რომლებიც აკვანზე, ხის ჭურჭელზე, ხის ჩუქურთმებზე, ავეჯზე მუშაობდნენ, ასევე ქვის ოსტატები, მეთულუხცეები, მესაათები, მებარგულები, მეეზოვეეები, დალაქები და ა.შ.

ისინი მუნიციპალიტეტის ისტორიის შემადგენელი ნაწილნი არიან და ამ კუთხით მნიშვნელოვანიც. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაციები ამასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რუბრიკის ახალ რაკურსთან დაკავშირებით აზრი ვკითხეთ დიდი ცხოვრებისეული და პრაქტიკული გამოცდილების პიროვნებას, ბატონ ანზორ ცაგურიას, რომელმაც აღნიშნა:

-მივესალმები თქვენს წამოწყებას. ჩვენს მუნიციპალიტეტში უამრავი ასეთი ადამიანი იყო და არის. ისინი შეიძლება ითქვას კოლორიტები არიან თავიანთი არსებით, პროფესიით...მაგალითად გოგი აშკაშიძე ასეთი პიროვნებაა, იგი მთელი ცხოვრება ფეხსაცმლის შეკეთებაზე მუშაობდა და დღესაც ამითაა დაკავებული, გარდა ამისა პიროვნებაა საქართველოზე შეყვარებული. მან კეთილსინდისიერი საქმიანობით მომხმარებელთა სიყვარული დაიმსახურა და არა მარტო მათი. უკეთილშობილესი, სენაკისა და აქ მცხოვრებთა მოყვარული, გამტანი, ბევრი სიკეთის მქმნელი, სენაკის საპატიო მოქალაქეა. ასეთნი ბევრია, მადლობა მინდა გითხრათ მათით რომ დაინტერესდით. ვეცდები მეც გავიხსენო ბევრი რამ.

რადგან ბატონმა ანზორიმ აქცენტი გოგი აშაკაშიძეზე გააკეთა, ჩვენც იგივე სპეციალობით დაკავებულ რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ დღეს.

ვინ არიან ეს ადამიანები? -ხელოსნები, რომლებიც ფეხსაცმლის შეკეთება-აღდგენაზე მუშაობენ.

გოგი აშკაშიძის წინაპრები სამშობლოდან ომს გამოქცევიან და სენაკისათვის შეუფარებიათ თავი. ამიტომ მისთვის ლტოლვილობის თემა მტკივნეულია, მიუხედავად ამისა ადგილობრივებისაგან ისეთი სითბო მიუღიათ, რომ აქ დასახლებულან. გოგის თქმით –სენაკელებისგან სიყვარული არასოდეს მოგვკლებია, ასირიელებმა პატივისცემის ყადრი ვიცით, ჩვენ ქრისტიანები ვართ და ვცდილობთ სიკეთეს სიკეთე დავახვედროთ. აქ დავიბადე და გავიზარდე, აქ არის ჩემი სამშობლო. უსენაკოდ არ შემიძლიაო...

გოგი აშკაშიძე 6 ათეულზე მეტია აღნიშნული სპეციალობით მუშაობს, ერთი შვილიც მასთანაა დაკავებული, მამა-შვილი ერთად მოდიან სამსახურში, მთელი დღე გვერდიგვერ ზიან და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთმანეთსაც ენაცვლებიან. ოჯახური სითბო ტრიალებს მათთან, მომხმარებელთა სიმრავლეცაა. ჩვენს რესპონდენტს 3 შვილი, 7 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი ჰყავს.

ზურიკო ხორავა თურმე 5 ათეულ წელზე მეტია ხელოსნის შრომატევად საქმეს ემსახურება. მასთან ერთად მუშაობს მისი ძმა ბენოც.

-ოთხი და-ძმა ვიყავით, ოთხივეს სწავლის გაგრძელების საშუალება ოჯახს არ ჰქონდა, ამიტომ ბიძამ გვირჩია ხელობა შეგვესწავლა, თავადაც ხელოსანი იყო. სენაკში ერთ ებრაელთან შევითვისე აღნიშნული საქმე და მერე დამოუკიდებლად დავიწყე მუშაობაოგვითხრა მან.

თავიდან მოდელიორ-გამომჭრელი ყოფილა. მაშინ სახელმწიფო საწარმოები იყო და ხელფასიც ეძლეოდა. შემდეგ ცხოვრებამ როგორც მოიტანა ისე გააგრძელა გზა. ჩვენი საუბრის შემსწრე ერთ-ერთმა კლიენტმა გაიხსენა: ზურიკო თვითნასწავლი დიზაინერია, ამ პროფესიის შესატყვისი გაგებით. სენაკში ჯერ კიდევ როდის იწონებდნენ თავს მისი შექმნილი მოდელებით. იგი გამორჩეული ნიჭის, განსაკუთრებული ხელის პატრონია, მას ნებისმიერი მოდელიდან თარგის გადმოტანა შეეძლო, ამიტომ მუდამ გემოვნებიანი მომხმარებელი ჰყავდა და ახლაც ასეაო.

თურმე შემკვეთთა მოდელებს ჯერ ხატავდა და შემდეგ ჭრიდა. იგი მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი პიროვნება აღმოჩნდა. იუარა. ძლივს დავითანხმეთ ორი სიტყვა ეთქვა თავისთავზე. ჰყავს ქალვაჟი, 5 შვილიშვილი და 1 შვილთაშვილი.

ბენოსაც აღნიშნული სპეციალობა გაუხდია ცხოვრების სახსრად და ძმასთან ერთად ყოველდღე პირვანდელ იერს უბრუნებს გაცრეცილ ფეხსაცმელებს, რომლებიც მადლობას გადაუხდიდნენ ხელმარჯვე ოსტატებს, ლაპარაკი რომ შეეძლოთ. ბენოს 2 შვილი და 6 შვილიშვილი ჰყავს.

ასეთი ბიოგრაფიის ადამიანები თავისი წილი შესაძლებლობებით ამდიდრებენ ჩვენს ყოველდღიურობას. რაიონის ისტორიას, ჩვენი მიზანიც ეს არის-ამ ნიშნით მათი ბიოგრაფიის საინტერესო შტრიხები დაილექოს ჩვენი, თქვენი, მომავალი თაობის მეხსიერებაში, მათ კი თავიანთი კაი-კაცობით გაუმარჯოთ.

ნინო სართანია

ვიცნობდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიას

სენაკის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვწერდით, რომ თუ ვინმეს ჰქონდა ჩვენი მუნიციპალიტეტის წარსულის მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველი ინფორმაციები, ჩვენი რედაქციისათვის მოეწოდებინათ. პირველი ბადრი ხურცილავა აღმოჩნდა. ის არის სენაკელი, თეატრალი და შემოქმედი ადამიანი. დაინტერესებულია სენაკის ისტორიით და იკვლევს მას. გთავაზობთ ბატონ ბადრის მიერ მოძიებულ და დამუშავებულ კორესპონდენციას, რომელიც ეხება სენაკის სტამბის პირველ დამფუძნებელს და ამ სტამბაში დაბეჭდილ ლიტერატურას.

სიო ჩითანის ძე თავართქილაძე

ცნობილი ოზურგეთელი მესტამბის (ოზურგეთში სტამბა გახსნა 1886 წელს, შემდეგ ბათუმში, სენაკში და თბილისში) და გამომცემლის, ასევე ოზურგეთში და სენაკში ბიბლიოთეკისა და წიგნის მაღაზიის დამაარსებლის, საქართველოში განსაკუთრებით კი გურიაში ღარიბი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი – "იაფი წიგნის" გამავრცელებლის კონსტანტინე (კოწია) ჩითანის ძე თავართქილაძის ძმა, სიო დიდი დამხმარე ყოფილა თავისი ძმისა ყველა ზემოხსენებულ საქმიანობაში.

„კოწიამ ამ სიოს იმედით გახსნა სენაკში ქართული სტამბა. ამ სტამბას სიო აწარმოებდა. სენაკში სიოს თავ-დადებულმა სასტამბო შრომამ დაუდო საფუძველი ქართული წიგნების გამოცემის საქმეს, სიოს შრომითვე დაიწყო ამ შუაგულ სამეგრელოს ქალაქში ქართულმა წიგნებმა ვრცელება. მეგრელებს სიოს შრომა მკვირცხლად აკავშირებდა ქართულ ენასა და მწერლობასთან, რაც მკაცრი წინააღმდეგი ძალა იყო მეგრული გამოგონებული ანბანის. მეგრული ანბანის და მეგრული წიგნების გამოცემას რა თქმაუნდა ხელს უწყობდა რუსეთის მიერ დანიშნული მეფისნაცვალი, ეგზარქოსი და სხვა მოხელე თუ ჩინოვნიკი. თუმცა ადგილზეც იყვნენ სკოლებში მეგრულად სწავლა განათლების მიღების მსურველები, როგორიც იყო ვინმე აშორდია. 1801 წელს რუსეთის მეფის ბრძანება ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით მეგრულ ენაზე დაბეჭდეს და ურმებით შეიტანეს სამეგრელოში თუმცა მოსახლეობამ ის არ მიიღო ამ ყველაფრის ფონზე დროული იყო ძმები თავართქილაძეების მიერ სტამბისა და წიგნის მაღაზიის გახსნა.თავად სიო დასნეულდა სტამბის მუშაობისაგან, გარდაიცვალა 1902 წ. სოხუმის სანატორიუმში 26 წლის ასაკში..

ძმები თავართქილაძეების მიერ დაარსებულ სენაკის სტამბაში მრავალი წიგნი დაიბეჭდა.ზოგი ამ წიგნებიდან ინახება მოსკოვის,პეტერბურგისა და ხარკოვის ბიბლიოთეკებში წარმოგიდგენთ იმ წიგნების ჩამონათვალს რომელიც სენაკში იქნა დაბეჭდილი.

1-ლექსები და ნაწყვეტები/შეკრებილი და გამოცემული ი.დათებაშვილის- მიერ/ ახ. სენაკი 1899წ. (ძმ.თავართქილაძეების სტ.)23 გვ. 15 სმ. ფასი 5 კაპ.

2-არსენას ლექსი/ შედგენილი პეტრე უმიკაშვილისა,-ახ. სენაკი(-თავართქილაძე ენის წიგნის მაღაზიის გამოცემა N 17, 1892 წ. მათივე სტამბა 16 გვ. სურ.19 სმ (ფ.ა.)

3- კაჭკაჭოვი ილიკო -ანდერძი ოქროპირ ქარცხიას,თქმული ილიკო კაჭკაჭოვისა ახალ.- სენაკი,1892 წ. (კ.თავართქილაძის სტამბა. უთავფურცლო, 8 გვ. 10კ.

4-ხუსკივაძე თეოფილე - თხზულებანი თეოფ.ხუსკივაძისა.1881-1891წ. ახალ - სენაკი; კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა. N25 1892 წ.(თავართქილაძის სტ.) 146 გვ.20 სმ.30 კაპ.

5- გარშინი -ამპარტავანი გიორგი/ლეგენდა გარშინისა/ნათარგმნი რუსულიდან ილ.ფერაძის მიერ-მეორე გამოცემა.- ახალ- სენაკი ; თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოც.N 20 და მისივე სთ. 1893 წ. 31 გვ. 15 სმ. 5 კაპ.

6- გვარამაძე კონსტანტინე -გამიჯნურებული ქალვაჟიანის ლექსი/ სამესხეთში შეგროვილი შეგროვილი და დამატებული კონსტანტინე (მესხი) გვარამაძისაგან. -- ახალ- სენაკი : კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა N 19 და მისივე სტამბა. 1893 წ. 40 გვ. 15 სმ. 5 კ.

7-გუგუნავა სვიმონ - თამარიანი/ ლექსი თქმული თ.სვიმონ გუგუნავას მიერ,/ გამოცემა მეორე-ახალ სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოც. N 30 და მისივე სტამბა.1893 წ. 160 გვ. 23 სმ. (ფ.ა.)

8- ერისთავი დიმიტრი -ქოლერა და მისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი დიმ. ერისთავისა,- ახალ-სენაკი.ვ.თავართქილაძის წიგნის მაღ. გამოცემა.N 26 და მისივე სტამბა. 1893 წ. 33 გვ. 15 სმ. მინაწერი: ამ წიგნის შემოსავალი გადაღებულია ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ.

9-კალისტრატე მ[ღვდელ]-მ[ონაზონი] -სიმდიდრის ბურჯი და ახალი წელიწადი პირველი ენკენისთვე./ მ,მ,,კალისტრატე (ჩიჩუა) ახალი- სენაკი, 1893 წ. (კ.თავართქილაძის სტამბა) 40 გვ. 14 ამ 5 კაპ.

10-კაჭკაჭოვი ილიკო -ანდერძი კნიაზ დათა მურძაყანის ძის ანჩაბაძისა./ლექსად შედგენილი ილიკო კაჭკაჭოვის მიერ/- ახალი- სენაკი: ი.კაჭკაჭოვის გამოცემა,1893 წ. +კთავართაილაძის სთ.) უთავ-ფურცლო,11 გვ.21 სმ. 20 კაპ.

11- მონტეგაცცო -სამშობლოს სიყვარული/ მონტეგაცცოდან გადმოღებული სამსონ ყიფიანის მიერ/.ახალი-სენაკი; კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა.N 23 და მისივე სტამბა.1893 წ. 36 გვ. 17 სმ. 5 კაპ.

12- ოცხანელი კ. -საყმაწვილო ბიბლიოთეკა (საყმაწვილო ლექსები) / შეკრებილი კ.ოცხელის [თავართქილაძე] მიერ - მე-2 გამოც. ახალი- სენაკი თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა N 21 და მისივე სტამბა.1893 წ. 48 გვ. 16 სმ. [ფ.ა.]

13-ქალ---ვაჟიანი-- 23 გამოცემა-ახალი- სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა.N 24 და მისივე სტამბა.1893 წ. 26 გვ.14 ამ.5 კაპ.

14-ახპატელივი მ[იხეილ]- საარშიყო ლექსები და მუხამბაზები. დამატებული კექსი ანტონ ძნელაძე/ შედგენილი მ.ახპატელოვისა-მეექვსე გამოცემა.-ახალი- სენაკი; გამოცემული ლიზა ახპატელოვისა1894 წ.(კ.თავართქილაძის სთ.) 32 გვ.21 სმ.15 კაპ.

15- გვარამაძე კონსტანტინე -მიჯნურთა ქალ- ვაჟის ლექსი/ სამესხეთოში შეგროვილი და დამატებული კონსტანტინე (მესხი) გვარამაძისაგან,- მე-2 გამოცემა. ახალი- სენაკი,გამოცემა კ.თავართაიკაძის სიგნის მაღაზიის N36 1894 წ. 40 გვ 14 ამ 5 კაპ.

16- გვარამაძე კონსტ[ანტინე] - ხალხური მესხური ლექსები/შეკრებილი და გამოცემული კოსტ. (მესხი) გვარამაძისაგან- ახალი-სენაკი,1894 წ. 26 გვ.ამ.

17-კალისტრატე მ[ღვდელ]-მ[ონაზონი] -ხოპის მონასტერი და .ი-სი ისტორიული წყარო 1089-1125 წ./მ.მ. კისტრატეს მიერ- ახალი-სენაკი,1894 წ.(კ.თავართქილაძის სტ)57 გვ.17 ამ. 10 კაპ.

18-კეიდია გრიგოლ -ნესტორ ჯიჯიხია /შედგენილი და გამოცემული გრიგოლ კეიდიასაგან.- ახალ- სენაკი, 1894 წ. (კ.თავართქილაძის სთ.)8 გვ. 21 სმ უთავ-ფურცლო.

19--- მოხუცი გერასიმეს ლომი/ თარგმანი ნ.შარაშიძისა,- ახალ-სენაკის: კ.თავართქილაძის წიგნის მაღ.გამოცემაN 31 და მისივე სტამბა.1894 წ. 31გვ.18 სმ.

20- ოდიშარია ალექსი -მამა შვილი/შედგენილი და გამოცემული ალექსი ოდიშარიას მიერ,- ახალ- სენაკი.1894 წ.(თავართქილაძის სტ) 18 გვ; 21 სმ; 20 კაპ.

21- ორბელიანი ნინო -ლექსი კნ. ნინო ორბელიანისა/ავტორის სურათით/- მეორე გამოცემა,ახალ- სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა.N 36 და მისივე სტ, 1894 წ. - 192, 6,2 გვ. 19 ამ.50 კაპ.

22- ფურცელაძე ანტონ -მარაბდა /პოემა ანტონ ფურცელაძისა/მეორედ გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, - ახალ- სენაკი, 1894 (კ.თავართქილაძის სტ) 40 გვ. 20 ამ. 15 კაპ.

23-ფურცელაძე ანტონ - წყალობა / პოემა ანტონ ფურცელაძისა/ მეორედ გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან- ახალ- სენაკი 1894 წ. (კ.თავართწიკაძის სტ)31 გვ. 20 ამ. 10 კაპ.

24 -აბესაძე მელქისედეკ - ქალ-ვაჟიდგან მიწერ-მოწერა და ქალის დათანხმება, მკითხაობა მარცითა ანუ ხელითა,და ქალ- ვაჟის საუბარი/ ლექსად გამოთქმული მელქისედეკ ანესაძისაგან.მესამედ გამოცემული- ახალ- სენაკი; გამოცემული ლ. ახპატელოვისაგან.1895 წ.(კ.თავართქილაძის სტ) 32 გვ. 18 სმ.

25- არდაზიანი ლ[ავრენტი] - სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი: რომანი / ლ. არდაზიანისა,- მესამე გამოცემა,ახალი- სენაკი: ზ.ჭიჭინაძის გამოც.1895 წ.(კ.თავართქილაძის სტ)224 გვ. 18 სმ. 35 კაპ.

26- ასათიანი ალ. -ქალ- ვაჟიდგან მიწერ- მოწერა და სხვა ლექსები/ შედგენილი და გამოცემული ალ. ასათიანის მიერ,- ახალ- სენაკი,1895 წ.(კ.თავართქილაძის სტ) 23 გვ. 14 სმ.

27-მესხური ანდაზები და გამოცანები/შეგროვილი და გამოც.მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან.- ახალ- სენაკი,1895 წ.(კ.თავართქიკაძის სტ.) 17 სმ.შეიცავს 2 ტომს.

28- მესხური ანდაზები და გამოცემები/შეგროვილი და გამოც. მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან.- ახალ- სენაკი,1895 წ(კ.თავართქიკაძის სტ)17 სმ

29.- გოგებაშვილი იაკობ - ასპინძის ომი: ისტორიული ამბავი მოზრდილი ყმაწვილებისათვის/ დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ; მეფე ერეკლეს პორტ.და ქარტით. ახალ- სენაკი: კ.თავართაილაძის წიგნის მაღ. გამოცემა N 43,1895 წ.(კ თავართქილაძის წიგნის მაღ.სტამბა.)31 გვ.პორტ.17 სმ.10 კაპ.

30- ლელაშვილი მ. -მოღალატე ძმა (ზღაპრული პოემა)მ.ლელშვილისა- ახალ- სენაკი: გამოცემამ. თავართქიკაძის წიგნის მაღაზიის,N42,1895 [კანზე: 1896 წ.](კ.თავართქილაძის სტ.40 გვ; 17სმ.10 კაპ.

31- არაკები და ზღაპრები /შეკრებილი კ. ოცხელის[კ.თავართქილაძე] მიერ,- ახალ-სენაკის კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა N 44 და მისივე სტ.1895 - 63 გვ. 17 სმ.

32- რაჭველი იასე - დასჯილი: (პოემა) /იასე რაჭველისა,- ახალ-სენაკი; კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა,N47 და მისივე სტამბა 1895 წ. 62 გვ.17 სმ. 10 კაპ.

33- სამი არაკი(მეფე და ხელოსანი- ოქრომჭედელი)- მეფე სოლომონ ბრძენი) ახალ - სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა,N 37 და მისივე სტ.1895 წ. 31 გვ. 17 სმ. (იაფი საყმაწვილო ბიბლიოთეკა)

34- ყუბანეიშვილი ნესტორ -სახელმძღვანელო საღვთო სჯულის სასწავლებლად შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია; ლოცვები ახსნით; ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა; სწავლა ღვთის მსახურებაზე/ შედგენილი მღვდლის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ ახალ- სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა, N 45 და მისივე სტ.1895 წ. 148 გვ 19 სმ 25 კაპ.

35- ცაგარელი ა[ქვზენტი] - დრამატული თხზულებანი (ავტორის სურათით) 1.ქართველი დედა2,ციმბირული,3.ბაიყუში/ა. ცაგარელისა.- ახალ- სენაკი: კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა N49 1895 წ. (კ.თავართქილაძის სტ)276 გვ. 17 სმ.50 კაპ.

36-ჭიჭინაძე ზაქარია(1853-1931) თავდგირიძიანთ გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე- ახალ-სენაკი; კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა N 56 და მისივე სტამბა.1896 წ.- 50 გვ.16 სმ. ტექსტის ბოლოს ზ.ჭ..10კ.

37- კანდელაკი ერმოლაოზ. -სიტყვა თქმული ბლაღიჩინის მღვდლის ერმოლაოზ კანდელაკის- მიერ, ათს მარტს გაენათის მონასტერში ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის დასაფლავებაზედ-ახალ-სენაკი 1896 წ. (ძმ.თავართქილაძეების სტ.) 16 გვ.17 სმ. 5 კაპ.

38-- კაუტსკი კარლ[კაუცკი კარლ]-ჩვენი დროის ეროვნება/ თარგმანი დ.კალ- მიშა[დ.კალანდარაშვილი]- ახალ- სენაკი ძმ.თავართქილაძეთა წიგნის მაღაზიის გამოც.N61 და მისივე სტ. 1896 წ.70 გვ.17 სმ.10 კაპ.

39-- რაჭველი იასე -მართალი კაცი / მოთხრობა იასე რაჭველისა,- ახალ- სენაკი,1896 წ. (ძმ.თავართქილაძეების სტამბა.)55 გვ. 18 სმ.10 კაპ.

40--რაჭველი იასე -უმანკო მსხვერპლნი/ მოთხრობა იასე რაჭველისა,-ახალსენკი,1896 წ (ძმ.თავართქილაძეების სტ)24 გვ.18 სმ.5 კაპ.

41- რუსთაველი შოთა - ვეფხისტყაოსანი(სურათებით)შოთა რუსთაველისა. ახალ- სენაკი.კ. თავართქილაძის გამოცემა.N57 1896წ (კ.თავართქილაძის სტ.)248 გვ.""წინასიტყვაობის ენგური" გვ. 4-9 ""ობოლი" ლექსი ვ. ორბელიანისა. "რუსთაველის სურათს " ლექსი დ. მაჩხანელისა.

42-რჩეულიშვილი გრიგოლ -ანუკა ბატონის-შვილი: ისტორიული მოთხრობა გრიგოლ რჩეულიშვილის,- ახალსენაკი ძმ.თავართქილაძეების წიგნის მაღაზია.N59 და სტ. 1896წ- 94გვ. 16სმ.10კაპ.

43-საბერძნეთის ბრძენი დიოგენი/ თარგმანი გ.მარგალიტაძის- მიერ,- ახალ- სენაკი: ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიის გამოცემა.N 60 და მათივე სტამბა.1896 წ. - 104გვ;17 სმ.10 კაპ.

44-[ტოლსტოი ლევ] -ჩხუბი ერთი კვერცხისთვის/ თარგმნილი სტ.ხოჯივანიშვილის მიერ - ახალ-სენაკი.კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა,N 58 და მისივე სტამბა 1896 წ.- 24 გვ. 18 სმ.3 კაპ.

45- ქვარიანი ს[იმონ] - ცაცინა/ მოთხრობა ს. ქვარიანისა,ახალ-სენაკი: ძმ.თავართქილაძეთა წიგნის მაღაზიის გამოცემა.N 63 და მათივე სტამბა 1896 წ.-32 გვ. 18 სმ. 5 კაპ.

46- ციხე(საყმაწვილო სურათები ანი წიგნი) თარგმანი თამარ [შარაშიძის]და ელენესი [ქიქოძე]-ახალ- სენაკი. ძმ.თავართქილაძეების წიგნის მაღაზიის გამოცემა N 62 და მისივე სტ.1896 წ. -21 გვ.17 სმ.-5 კაპ.

47-ლებზოკი დჟონ.. -წიგნების ქება/ შემოკლებულით ნათარგმნი ბაგრატ დოლიძის- მიერ -ახალ-სენაკი,1897 წ.(ძმ.თავართქილაძეების სთ.)-14 გვ.16 სმ.- სათაურის შინ : დჟონ ლებჟოკი,თავფურცელი და კანი ქართულ-რუსულ ენაზე - 3 კაპ.

48-შარაშიძე ნ[ინო] -ყაჭის მოვლა/ შედგენილი ნ. შარაშიძის - მიერ,- მე-2 გამოცემა.ახალ-სენაკი; ძმ.თავართქილაძეების წიგნის მაღაზიის გამოცემა N 66 და მათივე სტ.1897 წ -26 გვ.22 სმ.კანი ქართულ რუსულ ენაზე.

49- ცაგარელი ა[ვქსენტი] -დრამატული თხზულებანი / ა.ცაგარელისა; (ავტორის სურათით) ახალ-სენაკი; ძმ.თავართქილაძეთა წიგნის მაღაზიის გამოცემა N 68, 1897 წ.(ძმ.თავართქილაძეების სტ.-16 სმ.შეიცავს ერთ ტომს.

50- ცაგარელი ა[ვქსენტი] -დრამატული თხზულებანი / ა. ცაგარელისა; (ავტორის სურათით) - ახალ- სენაკი; ძმ.თავართქილაძეთა წიგნის მაღაზიის გამოცემა,N 68, 1897 წ.(ძმ.თავართქილაძეების სთ.)16სმ. წ.2-- 260 გვ.პორტრ,50 კაპ.

51- ვინ მოიგონა არაყი -კომედია/რუსულიდან ნათარგმნი ა. მგელაძის- მიერ, ახალ- სენაკი ძმ თავართქილაძე ენის წიგნის მაღაზიის გამოც .,N 71 და მათივე სტ.1898 წ. - 35 გვ.19 სმ.-5 კაპ.

52- კორსუნსკი პ. -ბენიამინ ფრანკლინი : სურათით/ თარგმანი და გამოცემა გურულ- იმერელისა, ახალ - სენაკი: გურულ- იმერელისა გამოცემა,1898წ.(ძმ.თავართქილაძეების სტ.) -96 გვ.17 სმ [20კ]

53- საოცარი სასტუმრო ანუ უცნაური სიზმარი: (თარგმნილი რუსულიდგან) ლადი გაგუასაგან,- ახალ-სენაკი,1898 წ. (ძმ.თავართქილაძეების სტ.) - 40 გვ 16 ამ.5 კაპ.

54- ბერიძე ოტია -ქალი ესთერი/ გადმოკეთებული ბიბლია- დაბადების წერილითაგან ორია ბერიძისაგან.ახალ- სენაკი,1899(ძმ. თავართქილაძის სტ.)კანი,47 გვ.(14×10) 5 კაპ.

55- თედეშვილი ვასილ -ამბავი ჯუმჯუმ ხელმწიფისა: [ლექსად] ძველი მოთხრობა გადმოღებული და გამოცემული მორჩილის ვასილ თედეიშვილის მიერ, ახალ- სენაკი,1899 წ.(ძმ.თავართქიკაძეების სტ) 8 გვ. 10 კაპ

56-თედეიშვილი ვასილ -წმიდა ნიკოლოზის სიზმარი / შედგენილი და გამოცემული მორჩილის ვასილ სიბოს- ძე თედეიშვილის- მიერ. ახალ- სენაკი,1899(ძმ.თავართქილაძეების სტ.)12 გვ. თავფურცელი ქართულ და რუსულ ენაზე.- 10 კაპ

57--- გომელაური ი[ვანე] -საჩუქარი ანუ რჩეულთა ლექსთა კრება: მოზრდილ ყრმათათვის / შედგენილი ი. გომელაურის მიერ. ახალ- სენაკი; კ.თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა, N 51 და მისივე სტ. 1895 წ - 43, [5]გვ; 17 სმ. (იაფი ბიბლიოთეკა) -5 კაპ.

ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხარ!

(რაულ ქავთარაძის ხსოვნას)

სიახლის შეგრძნება, ორგანიზატორული ნიჭი, მოყვასის თანადგომის, სიკეთისა და სიყვარულის საოცარი უნარი, ერთი შეხედვით, ,,ცივი" და უკარება, მაგრამ ძნელად დასანახი სითბო და ერთგულება, კარგი მესტუმრე და თამადა... კიდევ რომელი თვისებები ჩამოვთვალოთ შენი დახასიათებისათვის? ყველაფერს, ალბათ, ერთი ფრაზა ამბობს, შენი ,,წასვლის" გამო რომ ითქვა: ,,უი, მისგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს!".. და ეს მოხდა შენი დაბადების დღის 73-ე წელს.

სენაკის განათლების სისტემა, სადაც მოღვაწეობდი(თავკაცობდი კიდეც) შესაბამის ეპოქაში შენ გარეშე წარმოუდგენელია. ყველაზე რთული და რადიკალური ცვლილებებისა და რეფორმების პერიოდში შენ იყავი, ვინც, იქნებ მტკივნეული ობიექტურობით, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ლავირების ხარჯზე წარმართავდი საქმეს.

ქართული ხალხური სიმღერის ღირსეულად დამფასებელმა ჩამოაყალიბე ანსამბლი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ატკბობდა მსმენელს, შენი შექმნილია განათლების სისტემის გაზეთი ,,მოძღვარი", რომელსაც ,,სხვებიც" სიამოვნებით კითხულობდნენ, სკოლა ,,მარიოტა" დღეს რომ ასეთი პოპულარული და სახელოვანია სენაკში, შენი ღვაწლის შედეგიცაა.

დანახვის საოცარი უნარი გქონდა, დანახვისა და მოვლენების შეფასების. გონიერი ფიზიკოსი იყავი და, ერთი შეხედვით, ანტონიმები-ფიზიკა და ლირიკა-შენში მართლაც მოიაზრებდნენ ერთმანეთს.

მამაკაცური ხიბლით დაგაჯილდოვა ღმერთმა, რასაც სულო ცოდვილო, ,,იყენებდი" კიდეც: ქალების ნებიერა იყავი (რა დასამალია) და დღესაც ამოუხსნელ ამოცანად დარჩა შეკითხვა: „ვინ უყვარდა?!"

... და ოჯახი არ შექმენი, მაგრამ დებსა და დისშვილებზე ,,გადაყოლილმა" გაზარდე დის შვილიშვილი, რომელიც კვიცივით დაგდევდა ,,ბაბუ, ბაბუს" ძახილით.

როგორი მოწიწებით ელაცლიცებოდი მშობლების ხსოვნას. დედის ამაგი ვინც გაგიწია, ის ქალბატონიც ძვირფასი იყო შენთვის.

...და მაინც: ვინ გიყვარდა, ბიჭო? – ეს საიდუმლო, როგორც იტყვიან, ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ ჩვენ, მეგობრებს, ძალიან გვიყვარდი!

მეგობრები

ცარუ

წმინდანად წარსდგა უფლის წინაშე დედა მარიამი, (ერში ცარუ ადამია) სიცოცხლის დასასრულს გაკეთებული არჩევანით. მან უფლის გზა აჩვენა საზოგადოებას, ნაცნობ-მეგობართა წრეს, ურწმუნოებსაც.

ამშვენებდა ქალაქის ქუჩებს მოხდენილი, ელეგანტურად ჩაცმული ლამაზი ქალბატონი. პედაგოგიური ტაქტით და მოზომილი ურთიერთობით გამორჩეული, ყველა მოსწავლის გულშემატკივარი და მრჩეველი.

გაზეთ ,,კოლხეთის" წინა თაობის ჟურნალისტებთან მეგობრული ურთიერთობება აკავშირებდა ცარუს მამას თამაზ ადამიას. რედაქციის ხშირი სტუმარი იყო ბატონი თამაზი, სადაც მისი და ქალბატონი ელენე ადამია და სიძე ბატონი რეზო ჯანჯღავა მოღვაწეობდნენ – შემდეგ ჟურნალისტთა ახალ თაობას უნიჭიერესი ლევან ჯანჯღავა შემოემატა. ეს ადამიანები სენაკის კოლორიტები იყვნენ. ოჯახურ ტრადიციებს თან ერთოდა წარმატებული საქმიანობა, რომლითაც ისინი სენაკის ხვალინდელ დღეს ქმნიდნენ.

ცარუ ადამია, ეროვნული მუხტით და ჭეშმარიტი ფასეულობებით გაზრდილი, დედის ნებიერა გოგო საოცარ სითბოს და სიყვარულს ასხივებდა გარშემომყოფთათვის.

მრავალი ტკივილი გადაიტანა, ბევრი დაითმინა.

ახალგაზრდულ ასაკში დაქვრივებულმა, ერთადერთი შვილის თამაზ ჟვანიას აღზრდისა და ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბებისათვის, დიდი შრომა გასწია.

გალობით, ყვავილებით, ანთებული სანთლებით გააცილა სრულიად სენაკმა დედა მარიამი (ცარუ).

ვუსამძიმრებთ დედას ქალბატონ ლიას, შვილს, მეგობრებს, პედაგოგიურ კოლექტივს, სრულიად სენაკს.

ყველას ტკივილი ხარ ცარუ!

თითქოს გაღარიბდა სამყარო უშენოდ.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია

დღეს...

დღეს,-გამითენდა დაღლილი დილა
და მის დამალვას ჩუმ-ჩუმად ვცდილობ,
გამთენიაზე, მამლის ყივილთან
მე გაბედულად, მალულად ვბრძოლობ.

დღეს,-მე გამეხსნა ნაზად საკინძე
გულ-მკერდი თითქოს განათდა მზესთან,
სატკივარი მაქვს, ვერ ვიმორჩილებ
და მედავება დაბოღმილ მკერდთან.

დღეს,-თითქოს გავხდი ისევ პატარა
ამოვეფარე დედიკოს კალთას,
ყველა ტკივილი დამიამდა და
შევიხსენი უჩინრად ბალთა.

დღეს, - გადავირბენ ასე მგონია
კვლავ, მოხდენილად უდიდეს ტაფობს,
გვერდს ავუვლი და ვერ ჩამძირავს
ზღაპარს არ ვეტყვი გაუვალ ჭაობს.

დღეს,-ავიცილებ დაბოღმილ ჭორებს
თვალს არ შევუხსნი ზეგარდმო რბევას,
ამ დროს შევნიშნე გამწყრალი ველი
რომ იზომავდა გაშლილი წნევას.

დღეს,-ამეკრძალა ტან-ფეხის თრევა
და გავახილე გამწყრალი თვალი,
დავინახე და არ დავიჯერე
ველი ვიხილე გალეშილ-მთვრალი.

დღეს,- დავივიწყე ათასი ხიბლი
თითქოს მომწყვიტეს მკერდიდან ჩუმად,
ზღვა მეარშიყა, გულის ეს გამა
და მივხვდი, თითქოს რომ გამაჩუმა.

დღეს, შევებრძოლე უტიფარ კოვიდს
მისი არა მაქვს ხიბლი და შიში,
დავამარცხებთ და გავიმარჯვებთ
ამას არ უნდა მტრობა და ქიში.

დღეს,- დავიზვერვე გულის მოთმენა
მისი გავზომე კიდე და განი,
აუწონავი დამირჩა ვგრძნობ და
ვეღარ ავწონე გრძნობების ბანი.

დღეს, დავიბევე მეგობრის გული
დანაშაული სასჯელთან ერთად,
გავიცანი თუ, ვერ შევიცანი,
დამემახსოვრა ჩემს თავზე მეტად.

გამთენიაზე, მამლის ყივილთან
მე გაბედულად, მალულად ვბრძოლობ,
დღეს, გამითენდა დაღლილი დილა
და მის დამალვას ჩუმ-ჩუმად ვცდილობ.

ია (ნაზიბროლა) ლაშქარავა

კროსვორდი

ცარიელი გრაფები შეავსეთ ქართველი მსახიობების გვარებით, ისე რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ ,,საქართველო გაბრწყინდება"



შეადგინა მაია გერგაიამ

2022 წლის №13-14 კოლხეთში გამოქვეყნებული ,,ლიტერატურული ჩაინვორდის" პასუხები

1. რომანი, 2. ნიჟარაძე, 3. ესენინი, 4. ნიბელუნგებზე, 5. ერისთავი, 6. ვისი, 7. იაშვილი, 8. ილია, 9. აივენჰო, 10. ჰომეროსი 11. როსინანტი, 12. ტიციან, 13. ნინოშვილი. 14. ლია, 15. აჩრდილი, 16. ინგოროყვა, 17. ყვარყვარე, 18. რეალიზმი, 19. მითოლოგია, 20. იასამანი 21.ნიკოლოზ, 22. ზანდუკელი, 23. ლისაშვილი 24. ია 25. ალიო, 26.ოთარ, 27. არწივი.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთუერია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499